ანომია, უმცირესობის სტრესი და თემთან მიკუთვნებულობა გბმსმ პოპულაციაში

იასონი შიშნიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

იასონი შიშნიაშვილი

2022

აბსტრაქტი

ისტორიულ ჭრილში ლგბტქ+ თემი თითქმის ყოველთვის გამხდარა სისტემური, ინსტიტუციონალური, კულტურული თუ იდეიოლოგიური სტიგმატიზაციის, იზოლაციის, ჩაგვრისა და დისკრიმინაციის სამიზნე. გარემოსთან ურთიერთქმედების ამ ტიპის ხასიათი უკვალოდ ვერ ჩაივლიდა, რაც სხვადასხვა კვლევაში აისახა ლგბტქი+ თემში ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან და სოციალურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული გამოწვევების მაღალი პრევალენტობით.

აღნიშნული გამოწვევებისა და ლგბტქ+ თემის გამოცდილების სტრუქტუირებული ანალიზისათვის შემუშავდა უმცირესობის სტრესის მოდელი, რომლის ფოკუსშიცაა ამ გამოცდილებასთან დაკავშირებული დისტალური და პროქსიმალური ფაქტორები. აღნიშნული კვლევის ფარგლებში გბმსმ პოპულაციის გამოცდილების გასაანალიზებლად პირველად დაემატა ანომიის კონცეპტუალური ჩარჩო, როგორც ინდივიდსა და გარემოს შორის ურთიერთქმედების ერთ-ერთი მოდელი.

დამატებით ცვლადად იქნა გამოყენებული თემთან მიკუთვნებულობის ცვლადი, რომელიც უმცირესობის სტრესთან ერთად მეორე ჰიპოთეზაში განხილულია, როგორც ანომიის პრედიქტორი.

უმცირესობის სტრესსა, ანომიასა და თემთან მიკუთვნებულობის შორის კორელაციის დასადგენად თვით-ადმინიტრირებადი კითხვარის მეშვეობით კვლევა ჩატარდა 50 გბმსმ პოპულაციის წარმომადგენელთან, რის ფარგლებშიც უმცირესობის სტრესისა და ანომიის სხვადასხვა განზომილებას შორის დაფიქსირდა საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაციური კავშირი. დამატებით, მნიშვნელოვანი საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია დადგინდა თემთან მიკუთვნებულობასა და უმცირესობის სტრესს შორის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: უმცირესობის სტრესი, ანომია, ლგბტქ+, გბმსმ, თემთან მიკუთვნებულობა

Abstract

Historically, the LGBTQ+ community has almost always been the target of systemic, institutional, cultural, or ideological stigma, isolation, oppression, and discrimination. This type of interaction with the environment could not be traced, which has been reflected in various studies with a high prevalence of challenges related to mental health and social functioning in LGBTIQ+ community. For a structured analysis of these challenges and the LGBTQ+ community experience, a minority stress model was developed, focusing on the distal and proximal factors associated with the experience.

For the first time, the conceptual framework of anomie was added as part of this study to analyze the experience of the GBMS population as one of the models of the interaction between the individual and the environment.

The community affiliation variable used in addition to the minority stress in the second hypothesis is used as an additional variable as a predictor of anomie.

To determine the correlation between minority stress, anomie and community affiliation, a self-administered questionnaire was conducted with a representative of 50 GBMS population, in which a positive correlation of moderate mean strength was observed between different dimensions of minority stress and anomie. Additionally, a significant correlation of significant mean strength was found between community affiliation and minority stress.

Keywords: Minority stress, anomie, LGBTQ+, GBMSM, community affiliation.

მადლობა

ქალბატონ ნინო სხირტლაძეს - მისი გულისხმიერი დახმარებისთვისა და მხარდაჭერისათვის. მისმა პრაქტიკულმა და მეთოდოლოგიურმა რჩევებმა, თეორიულ და კონცეპტუალურ ხედვებში გზის გამკლავებამ და იდეათა გენერირების პროცესში მონაწილეობამ შესაძლებელი გახადეს ამ ნაშრომის არსებობა.